

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი

სადოქტორო ნაშრომის ავტორეფერატი  
დამატებით და ალტერნატიული მედიცინა და საქართველოს  
ჯანდაცვის სისტემა

ილია ნადარეიშვილი

David Tvildiani University Press

თბილისი 2019

ნაშრომი შესრულდა დავით ტვილდიანის სამედიცინო  
უნივერსიტეტში

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

- **გიორგი ფხაკაძე**, პროფესორი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის ხელმძღვანელი, დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი
- **კარსტენ ლუნცე**, ასისტენტ პროფესორი, მედიცინის დეპარტამენტი, ბოსტონი უნივერსიტეტი, ბოსტონი, აშშ

ოფიციალური ექსპერტები/ოპონენტები:

- **თენგიზ ვერულავა**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
- **რამაზ შენგელია**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
- **გიორგი ჩახავა**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 2019 წლის 7 მარტს, \_\_\_\_\_ საათზე დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტში შექმნილი ერთჯერადი სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე, თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ავტორეფერატი დაიგზავნა \_\_\_\_\_

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი

მედიცინის დოქტორი

მარიკა ვაჩნაძე

## შესავალი

გლობალიზაცია, კლიმატური და გარემოს ცვლილებები, ადამიანური თუ მატერიალური რესურსების მზარდი დეფიციტი, მიგრაცია, არაგადამდები დაავადებების და ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობის გავრცელების ზრდა - ეს იმ ფაქტორთა ნაწილია, რომელთა მიერ გამოწვეული ჯანდაცვის პრობლემების აქტუალობა მომავალში, დიდი ალბათობით, მხოლოდ გაიზრდება. ფაქტორივად ყველა ჯანდაცვითი მიმართულებით, მედიცინაზე ასეთი ზეწოლა ადამიანური და მატერიალური რესურსებისთვის, მეცნიერებისთვის და ნებისმიერი ქვეყნის ჯანდაცვის სისტემისთვის.

ამ დროს, მსოფლიოში შეინიშნება დამატებითი და ალტერნატიული მედიცინით (დამ) სარგებლობის ზრდის მრავალწლიანი ტენდენცია, რაც ამ საკითხს საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის ეპიდემიოლოგიურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებს. დამ ძირითადად გამოიყენება კლასიკური მედიცინის გარეთ, ჯანრთელობის შენარჩუნებისთვის, ასევე დაავადებების პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის. გარკვეულ ქვეყნებში ხდება ამ სამკურნალო მეთოდების კლასიკურ მედიცინაში ინტეგრირება და ადაპტირება. ცნობილია, რომ ევროკავშირის 100 მილიონზე მეტი მოქალაქე დამ-ის რეგულარული მომხმარებელია. აშშ-ში გამოყენების პრევალენტობა 33%-ს შეადგენს. საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოება ატარებს კვლევებს გამოყენების მიზეზების, რეგულაციების, დაფინანსების სქემების, ეთიკური საკითხების, ინფორმაციის წყაროების და სხვა საკითხების შესასწავლად. ამავე დროს, სულ უფრო მეტად შეისწავლება სხვადასხვა დამ მეთოდების ეფექტურობა და უსაფრთხოება მტკიცებითი მედიცინის პოზიციიდან. ამ კვლევებიდან ბევრი დამ მკურნალობას ადარებს პლაცებოს ან არსებულ მიღებულ თერაპიებს. კვლევის კიდევ ერთ მიმართულებას წარმოადგენს დამ-ის ზეგავლენა ქცევაზე და მისი სარგებელი. ზოგ ქვეყანაში (მაგალითად აშშ-ში) დამ-ის კვლევასა და მასთან დაკავშირებული

პროცესების მართვაზე პასუხისმგებელია მსხვილი სახელმწიფო სტრუქტურები. ასეთი ქვეყნები, როგორცაა ჩინეთი ან ინდოეთი წარმოადგენენ ინტეგრაციის წარმატებულ მაგალითებს.

თავის დამ-თან დაკავშირებულ სტრატეგიაში (Traditional Medicine Strategy 2014-2023), მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია წევრ ქვეყნებს აძლევს შესაბამის მიმართულებას და მიუწოდებს მათ დამ კვლევის განხორციელებას, გაუმჯობესებას და განვითარებას, რათა შეიქმნას პოლიტიკის შემუშავების საფუძველი ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე. კვლევის სტრატეგიები ასევე შეიქმნა სხვადასხვა რეგიონებში, მათ შორის ევროპაში.

ქართულ სამედიცინო ტრადიციებზე პირველი წერილი წყაროები თარიღდება შორეული მე-10-13-15-16 საუკუნეებით, რაც გვაძლევს ინფორმაციას სამედიცინო პრაქტიკის ათასწლოვან ისტორიაზე, ხალხურ სამკურნალო საშუალებებსა და სხვა თერაპიულ მიდგომებზე. მე-20 საუკუნეში, საბჭოთა კავშირის გავლენასთან ერთად, სამედიცინო ტრადიციები მეორეხარისხოვანი გახდა და სწრაფად განვითარდა კლასიკური მედიცინა. ამავე დროს, ძირითადად ლიტერატურის ან ჩამოსული პრაქტიკოსების მიერ, ქვეყანაში შემოვიდა ისეთი სამკურნალო სისტემები, როგორცაა ჰომეოპათია ან აკუპუნქტურა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დამ-ის მოხმარება უფრო გავრცელდა. მიუხედავად ამისა სამეცნიერო კვლევა ამ მიმართულებით მინიმალური მინიმალური, რამაც მოგვცა კვლევაზე დაფუძნებული მტკიცებულებების და ცოდნის დეფიციტი.

საერთაშორისო აკადემიური საზოგადოების მხრიდან დამ კვლევის სტიმულირების, ხშირი გამოყენების შესახებ არსებული ირიბი მონაცემების, უძველესი ტრადიციების და მდგრადი ბაზრის მიუხედავად, დამ-ის მიმართულებით კვლევა საქართველოში საკმაოდ შეზღუდულია. მოსახლეობისთვის შესაძლო რისკების ან დაკარგული შესაძლებლობების, ასევე საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების ხელშეკრულების ამოქმედებით გაჩენილი შემდგომი ევროპული პერსპექტივების

გათვალისწინებით, ჩვენ ჩავთვალეთ საჭიროდ ამ კვლევითი პროექტის განხორციელება, რომელიც ეხება დამ-ის არსებული პრაქტიკის პრობლემებს და ინტეგრირების საკითხებს, როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო (გლობალური ჯანდაცვის) თვალსაზრისით.

### **კვლევის მიზნები და ამოცანები**

კვლევის ზოგადი მიზანი იყო დამ-ის და კლასიკური მედიცინის მხრივ საქართველოში არსებული სერვისების და პრაქტიკების ინტეგრაციის პერსპექტივების შესწავლა.

კვლევის ამოცანები

- A) დამ-ის გამოყენების გავრცელების შეფასება.
- B) კლასიკური მედიცინის არსებული სერვისებისთვის ალტერნატივების და დამატებითი სამკურნალო მიდგომების საჭიროებების შექმნელი ფაქტორების ანალიზი. ტიპური დამ-ის მომხმარებლის დახასიათება.
- C) დამ-ის გარკვეული მიდგომების პრაქტიკის შესწავლა საქართველოს 5 რეგიონში.
- D) დამ-ის და კლასიკური სამედიცინო მომსახურების ინტეგრირების მხრივ პაციენტთა თვალსაზრისის და საჭიროებების შესწავლა.
- E) დამ-ის პრაქტიკოსების, კლასიკური მედიცინის მუშაკების და სამედიცინო განათლების წარმომადგენლების თვალსაზრისის შესწავლა დამ-ის არსებული პრაქტიკის, დამ-სა და კლასიკური მედიცინას შორის თანამშრომლობის მხრივ არსებული რეალობის, ოპტიმიზაციის / ინტეგრაციის პერსპექტივების და მომავლის ხედვის შესახებ.
- F) დამ პრაქტიკის და პროდუქტების საქართველოში არსებული ახლანდელი და წარსული რეგულაციების, მათი ძლიერი და სუსტი

მხარეების ანალიზი. ზოგადი შემოთავაზებების ფორმირება პოლიტიკის შემუშავებისთვის კვლევით გაკეთებული აღმოჩენების და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე.

G) დამ-ის პრაქტიკასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო საკითხების შესწავლა საქართველოში.

H) კვლევაზე დაფუძნებული საფუძვლის შექმნა პაციენტების, ექიმების და სხვა ჩართული მხარეების მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების და ასევე, შემდგომი კვლევებისთვის.

### **ნაშრომის მეცნიერული სიახლე**

ეს ნაშრომი წარმოადგენს საქართველოში განხორციელებულ დამ-ის პირველ მსხვილმაშტაბიან აკადემიურ კვლევას.

დამ-თან დაკავშირებული რეალობა განსხვავებულია ქვეყნების და რეგიონების მიხედვით - სხვა რამესთან ერთად, განსხვავდება პაციენტთა და პრაქტიკოსთა საჭიროებები და ინტერესები. მსგავსი კვლევის განხორციელება სხვადასხვა პოპულაციაში ქმნის არა მარტო ლოკალური მნიშვნელობის ცოდნას, არამედ ემსახურება დამ-ის გლობალურ კონტექსტში გააზრებას, ქმნის სამეცნიერო საფუძველს შემდგომი კვლევისა და ინფორმირებული გადაწყვეტილებებისთვის. სანდო რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის აღმოჩენები (და მონაცემები) ხელს შეუწყობს მომდევნო კვლევითი პროცესის ხარისხის ზრდას. კვლევის დიზაინი მიმართული იყო პრობლემის სიღრმისეული, რეალური სურათის წარმოსაჩენად და გასაანალიზებლად, რაც მნიშვნელოვანია უსაფრთხო და ეფექტური სამედიცინო პრაქტიკის წარმოებისთვის. ჩვენი კვლევა პირველია, რომელიც ქმნის კვლევაზე დაფუძნებულ ცოდნას დამ-ის პრაქტიკის და გამოყენების, პაციენტთა საჭიროებების, პრაქტიკოს-პაციენტის ურთიერთობის შესახებ; სწავლობს და წარადგენს სარეგულაციო ჩარჩოების შექმნისთვის

საჭირო ნაბიჯებს, აანალიზებს სამედიცინო განათლების შესაბამის საკითხებს კლასიკურ მედიცინასთან ინტეგრირების კონტექსტში.

მოკლევადიან პერსპექტივაში ჩვენ მოველით შესაბამისი საგანმანათლებლო ჩარჩოების შემუშავებას, დაინტერესებულ პირთა მიერ საკითხის გაცნობიერების და ინფორმირებულობას ზრდას და შემდგომი კვლევითი პროცესის საკითხის დაგეგმვას. საშუალო პერსპექტივაში მოველით, რომ ჩვენს კვლევას ზეგავლენა ექნება ბაზრის სტანდარტიზირებაზე, მარკეტინგულ და ინდუსტრიულ დაგეგმარებაზე, ჩართულ მხარეებს შორის თანამშრომლობის დაწყების პროცესზე. გრძელვადიან პერსპექტივაში ჩვენ მოველით, რომ ჩვენი კვლევის შედეგად გაუმჯობესდება პაციენტთა უსაფრთხოება, სიცოცხლის ხარისხი, ჯანმრთელობა და სამედიცინო სერვისების ხარჯთეფექტურობა.

### **პუბლიკაციები და აპრობაცია**

ნაშრომის ძირითადი მასალები გამოქვეყნებულია 6 სამეცნიერო პუბლიკაციის სახით. დისერტაციის ძირითადი დებულებები მოხსენებულია: სოციალური და ქცევათმეცნიერების დეპარტამენტის და დამ-ის პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლების ერთობლივ სხდომაზე (04/02/2019); ასევე შემდეგ კონფერენციებზე: ა) 15th International Medical Postgraduate Conference, Charles University, Faculty of Medicine in Hradec Králové, Czech Republic – 2018, ბ) 28th European Students' Conference, Charite Universitat Medizin Berlin, Germany – 2017, გ) Second International Conference: Higher Education, New Technologies and Innovations, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia – 2017, დ) 6th Students and Young Scientist (SYSSA) Conference, Tbilisi Georgia 2018, at Georgian Association of Medical Specialties conference “Multidisciplinary Approach in Neurologic Practice”, Tbilisi, Georgia, 2017.

## **ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა**

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შემდეგი ნაწილებისგან: შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, მასალები და მეთოდები, შედეგები, განხილვა, დასკვნები, პრაქტიკული რეკომენდაციები და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა, რომელიც შეიცავს 144 წყაროს; ნაშრინუს ნიცულობა - 137 გვერდი; შეიცავს 6 ცხრილს, 8 დიაგრამას, 5 სქემას.

## **კვლევის შინაარსი**

### **კვლევის მეთოდები**

მოცემული კვლევის შესრულებისას გამოყენებული იყო რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის სხვადასხვა მეთოდოლოგია. კვლევის პროექტის სრული ხანგრძლივობა იყო 48 თვე.

კვლევა თავიდან ფოკუსირებული იყო ქვეყანაში პოლიტიკის ანალიზზე და დამ-ის არსებული პრაქტიკის და დაკავშირებული პირების აღწერაზე. მოხდა შემდგომი კვლევის ეტაპებისთვის სამიზნე მოსახლეობის განსაზღვრა. ჩატარდა დამ-ის სახელმწიფო მონაცემთა ბაზებში და არქივებში მოპოვებული სპეციალობების, დაკავშირებული კანონდებლობის, საარქივო დოკუმენტაციის და სხვა საბუთების შესწავლა. ასევე, არსებული რეგულაციების და სტრატეგიების გასაცნობად, მივმართეთ დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. საჯარო რეესტრის მონაცემების ბაზის გამოყენებით ჩატარდა იურიდიულ პირთა იდენტიფიცირების პროცესი. კვლევა გაგრძელდა სამედიცინო განათლების დაწესებულებების (World Directory of Medical Schools-ის მიხედვით - 16) და მათი საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზით დიპლომამდელ, დიპლომის შემდგომი და უწყვეტი სამედიცინო განათლების დონეებზე.

კვლევა გაგრძელდა რაოდენობრივი კომპონენტით. ჩატარდა მოსახლეობის ჯვარედინ-სექციური გამოკითხვა „accidental selection“



შერჩევის მიდგომით და მოკლე კითხვარის გამოყენებით. კვლევაში დაპატიჯებული იყო სულ 700 კაცი, მოსალოდნელი 60%-სგან თანხმობის მიღების, 95 სარწმუნოების ინტერვალის და 20% პრევალენტობის გათვალისწინებით.

დამ-ის მომხმარებელ პაციენტთა გამოკითხვა ატარებდა ჯვარედინ-სექციურ დიზაინს და ითვალისწინებდა კვლევაში 18-დან 75 წლამდე ასაკის 300 პაციენტის მოწვევას დამ-ის მომსახურების მიმწოდებელ 20 სხვადასხვა წერტილზე. კვლევის ეს ეტაპი განხორციელდა საქართველოს 5 ქალაქში (თბილისი, რუსთავი, თელავი, ქუთაისი და ბათუმი) წინასწრად პილოტირებული კითხვარის გამოყენებით. ყველა ობიექტზე უზრუნველყოფილი იყო გასაუბრებისთვის სათანადო გარემო. ამ კვლევაში იყო ჩართული იყვნენ პაციენტები, რომლებიც იყენებდნენ დამ-ის შემდეგ მიმართულებებს: ჰომეოპათიას, ფიტოთერაპიას, ხალხურ მედიცინას, ბიოლოგიურად აქტიურ დანამატებს, აკუპუნქტურას ანთროპოსოფულ მედიცინას და მანუალურ თერაპიას/ქიროპრაქტიკას.

მედიკოს სტუდენტთა საჭიროებების შესწავლა მოხდა საქართველოს მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის ქსელის გამოყენებით. ამ მიზნისთვის შექმნილი კითხვარი გაეგზავნა საქართველოში მოსწავლე 100 ადგილობრივ და უცხოელ სტუდენტს.

კვლევაში გამოყენებული იყო როგორც აღწერითი, ასევე ანალიტიკული სტატისტიკა. მოსახლეობის გამოკითხვისას დამოკიდებულ ცვლადად მიჩნეული იყო „დამ-ის მომხმარებელი“, ანუ ის ვისაც დამ ცხოვრებაში ერთხელ მაინც ჰქონდა გამოყენებული. დამოუკიდებელ ცვლადად მიჩნეული იყო დემოგრაფიული მონაცემები, ჯანმრთელობის და სოციო-ეკონომიკური სტატუსი. დამ-ის მომხმარებელ პაციენტთა გამოკითხვის ანალიზში გამოყენებული იყო რამდენიმე დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადი. ცვლადების შედარება ხდებოდა ძირითადად Chi-square ტესტით.

სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გასხვავებების იდენტიფიცირებისთვის განსაზღვრული იყო  $p\text{-value} < 0.05$ . სტატისტიკური ანალიზი განხორციელდა IBM SPSS 22 პროგრამაში.

თვისობრივი კვლევა (შემდგომი კომპონენტი) შეიძლება იყოს დანახული როგორც კვლევის საფუძველი დამ-ის ამჟამინდელ პრაქტიკაზე ზოგადი სურათის შემქმნის და ასევე იდეების და ჰიპოთეზების შემუშავების მხრივ. თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის კომბინაცია გვაძლევს უფრო ფართო თვალსაწიერს პრობლემისა და კვლევითი სტრატეგიების (მათ შორის კლინიკური კვლევების დაგეგმარების, ხარისხის უზრუნველყოფის და ა.შ.) შესახებ. გამოყენებული იყო grounded theory ანალიზის მიდგომა: მონაცემები შეგროვდა ინდივიდუალური, ნახევრად სტრუქტურირებული, პირისპირ ჩატარებული გასაუბრებების დროს ადგილობრივი გამოცდილებისა და პრაქტიკის სიღრმისეული ანალიზისთვის. თვისობრივი კვლევის კომპონენტში ჩართულები იყვნენ purposive sampling მეთოდით შერჩეული დამ-ის მომხმარებელი პაციენტები (20), პრაქტიკოსები (12, 6 მიმართულების), სმმ-ის და სამედიცინო განათლების წარმომადგენლები (7).

ნახევრად სტრუქტურირებული გასაუბრებები ჩატარდა წინასწარ პილოტირებული პროტოკოლების მიხედვით, უმეტესად ღია კითხვების გამოყენებით. გასაუბრებები შეჩერდა მონაცემების განმეორებისას და გაჯერებისას. მონაწილეებს ჰქონდათ სრული თავისუფლება თავიანთი მოსაზრებების და გამოცდილების სრულყოფილად გამოსახატად. გასაუბრებების განხორციელების პარალელურად (მე-5 გასაუბრებიდან) დავიწყეთ ტრანსკრიპტირების და თემატური ანალიზის პროცესი, line by line primary open coding და axial coding მეთოდების გამოყენებით. პირველად ეს პროცესი შესრულდა 2 მკვლევარის მიერ, რომლებმაც მიაკუთვნეს კოდები და კონცეფციები ტრანსკრიპტირებული ტექსტების მიხედვით. შემდეგ განხორციელდა კოდების ანალიზი, სელექციური კოდირება და თემების შეჯერება. ავტორებმა ანალიზი

გაუკეთეს კოდებს და თემებს შორის აღმოჩენილ კავშირებს და შექმნეს თემასთან დაკავშირებული კონცეფციები. თემების მიხედვით გადანაწილდა ციტატები, რესპონდენტთა დამ-ის და კლასიკური მედიცინის ინტეგრაციაზე და გამოცდილებაზე ზუსტი სურათის შესაქმნელათ. (ეს ბოლო წინადადება ორიგინალში დაწერე, რა - ვერ ვხვდები რისი თქმა გინდა)

ეთიკის საკითხები: კვლევა დამტკიცებული იყო დტსუ-ს ბიოსამედიცინო ეთიკის კომისიის მიერ და მიმდინარეობდა იმავე კომისიის სტანდარტის მიხედვით. ყველა მონაცილემ მიიღო ინფორმაცია კვლევის მიზნებზე, შემსრულებლებზე, დაფინანსებასა და სხვა ასპექტებზე. საჭიროების მიხედვით წერილობით მიღებული იყო რესპონდენტთა ინფორმირებული თანხმობები. უზრუნველყოფილია მონაწილეთა კონფიდენციალობა, მაქსიმალურად არიდებული იყო ზეგავლენა პაციენტის ჯანმრთელობის შესახებ მისაღებ გადაწყვეტილებებზე.

## **შედეგები**

დამ-ის პრაქტიკა და სარეგულაციო გარემო საქართველოში.

საქართველოში ხელმისაწვდომია დამ-ის ყველა ძირითადი მიმართულება. მცენარეული პრეპარატების და საკვები დანამატების მიწოდება ხდება არა მარტო დამ-ის სპეციალიზირებულ ცენტრებში, არამედ მსხვილ სააფთიაქო ქსელებსა და მცირე ზომის აფთიაქებში (ძირითადად იყიდება როგორც ვიტამინები ან დანამატები). ისინი გამოიწერება როგორც დამ-ის სპეციალისტების, ასევე კლასიკური მედიცინის ექიმების მიერ. ტრადიციული მედიცინის მკურნალების და საკვები დანამატების გარდა, დამ-ის შემდეგი მიმართულებებია უფრო მეტად გავრცელებული: ჰომეოპათია, ზებგერითი თერაპია, ხელოვნებით თერაპია (როგორც დამ), აკუპუნქტურა, ქიროპრატიკური და კრანოსაკრალური მანიპულაციები, რეფლექსოლოგია. ნაკლებად გავრცელებულია მაგრამ ხელმისაწვდომია: ნათუროპათია, ანთროპოსოფური მედიცინა, ჰირუდოთერაპია, მაგნიტური ველებით თერაპია (როგორც დამ),

არომათერაპია, მედიტაცია (როგორც დამ), ოსთეოპათიური მანიპულაციები, ოზონური თერაპია (როგორც დამ) და იოგა (როგორც დამ). საქართველოს კონტექსტში გამოყენებადი ასეთი სამკურნალო მიმართულებები, როგორცაა ბალნეოთერაპია, ჯანრთელობისთვის ლოცვა, მასაჟი, მეფუტკრეობის პროდუქტები, დიეტით მკურნალობა და დისტანციური მკურნალობა არ იყო ჩართული დამ-ის სამკურნალო დისციპლინების რიგებში.

ჩვენ დავადგინეთ დამ-ის 20-ზე მეტი პროფესიული ორგანიზაციის ვინაობა. მათი აქტივობების უმეტესობა წარმოადგენს შიდა განხილვებსა და გამოცდილების გაზიარებს, იშვიათად კი კონფერენციებს. ზოგი ადგილობრივი ორგანიზაცია ასევე არის შესაბამისი მიმართულებებით არსებული საერთაშორისო ფედერაციებისა და ქსელების წევრი. დამ-ის პრაქტიკოსები აღიარებენ კომუნიკაციის (შიდა და გარე) ნაკლებობას და ასევე კავშირების კონკრეტული მიზნების დეფიციტს.

არსებული დამ-ის რეგულაციების მიმოხილვა

ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო სპეციალობათა ნუსხის მიხედვით ამჟამად არც ერთი დამ მიმართულება არ რეგულირდება როგორც სამედიცინო სპეციალობა.

ჩვენს მიერ გაცემული ინფორმაციის/სტრატეგიის შესახებ მოთხოვნაზე, ჯანდაცვის სამინისტროს პასუხი იყო შემდეგი: *“...კომპლემენტარული და ალტერნატიული მედიცინის მეთოდების/მიდგომების გამოყენება მოქმედი კანონმდებლობით არ რეგულირდება. ამასთან, შესაძლებელია, კომპლემენტარული მედიცინის კონკრეტული მეთოდის ცოდნა განსაზღვრული იყოს ექიმი-სპეციალისტის პროფესიული კომპეტენციით (მაგალითად, „აკუპუნქტურის“ მეთოდებისა და ჩვენება-უკუჩვენებების ცოდნა წარმოადგენს ფიზიკური მედიცინის, რეაბილიტაციის და კურორტოლოგიის დარგის ექიმის ცოდნის ზოგად ნაწილს), თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს, რომ მოქმედი კანონმდებლობა არეგულირებს მის მიერ ამ მეთოდის გამოყენების საკითხს.*

*რაც შეეხება ხედვას კომპლემენტარული და ალტერნატიული მედიცინის რეგულირებასთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ამ ეტაპზე, არ მუშაობს აღნიშნული მიმართულებით.“*

მოიძებნა რამდენიმე რეგულირების საარქივო საბუთი. 2013 წლამდე სპეციალობათა ნუსხაში, თერაპიის და პედიატრიის ქვესპეციალობის რანგში შედიოდა ჰომეოპათია, ხდებოდა ექიმ-ჰომეოპათთა სერიფიცირება. ნუსხიდან ამოღების შემდეგ, სერტიფიცირებულ ჰომეოპათებს აქვთ თერაპევტად მუშაობის უფლება. რეალურად, სპეციალობა არარეგულირებადი გახდა, ისევ როგორც ყველა სხვა დამ-ის სპეციალობა. ჯანდაცვის სამინისტროს მიხედვით ამის საფუძველშია მტკიცებულებების ნაკლებობა შესაბამის დარგებში. ეკონომიკის სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის სპეციალობათა ნუსხაში იძებნება ჰომეოპათია და „ხალხური და არა ტრადიციული სამედიცინო სპეციალობები“, ასევე „არა ტრადიციული მედიცინის პრაქტიკოსი“; მოცემულია შესაბამისი განმარტებები და სპეციალისტთა მოვალეობები. ჯგუფში შედიან: მკურნალები ვინც არ გამოიყენებს მედიკამენტებს, მკურნალები რომლებიც გამოიყენებენ მცენარეებს, სოფლის მკურნალები, ნატუროპათები. საქართველოს მთავრობის საზოგადოებრივი ესთეტიკური და კოსმეტიკური დაწესებულებებისთვის პროცედურების ტექნიკურ რეგლამენტში ნახსენებია (უადგილოთ) აკუპუნქტურა. მოცემულია შესაბამისი პრაქტიკის უსაფრთხოების წესები, აკუპუნქტურის განმარტებ. ბიოფიდბეკი ნახსენებია 2 გაიდლაინში (თავის და ზურგის ტკივილის მართვის).

სხვა დამ-ის პრაქტიკის სახელმწიფო მარეგულირებელი (ან ირიბად მარეგულირებელი) ჩარჩოები იდენტიფიცირებული ვერ იქნა, რაც ყველა დამ-ის სპეციალობას არადარეგულირებულათ ტოვებს. ასევე ვერ მოხერხდა თვით-რეგულირების დადგენა. ამკარა პროფესიული ორგანიზაციებში რესურსების

(პროფესიული/ადამიანური და მატერიალური) არასაკმარისობა თვით-რეგულირების შექმნის და იმპლემენტაციისთვის.

დამ-ის პრაქტიკოსების და ექიმების რეგულირებაზე პერსპექტივები.

დამ-ის სამუშაო ძალის შეფასება რთულდება პრაქტიკოსების ცეტრანლიზირებული რეესტრის არსებობით. შესაძლოა რომ ბევრი მუშაობს არარეგულარულად ან ხანდახან. პრაქტიკოსები თანხმდებიან იმაზე რომ საჭიროა გარკვეული ფორმით რეგულირება, სავარაუდოთ თვით-რეგულირების ფორმატში, ასევე იმაზე რომ დამ-ის პრაქტიკოსის მიმართ უნდა იყოს გარკვეული მოთხოვნები, მაგალითად უნდა ფლობდეს სამედიცინო განათლებას (იყოს დიპლომირებული მედიკოსი). ბევრი პრაქტიკოსი არის სერტიფიცირებული ექიმი, თუმცა არ აქვთ რაიმე სერტიფიცირება თავის დამ-ის სპეციალობებში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სამედიცინო საქმიანობის მარეგულირებელი სააგენტოს მიხედვით სამედიცინო ეთიკა და პასუხისგებლობა არ არის დამ-თან რელევანტური, რადგან ვერ იქნება არა ლიცენზირებულ პირებისთვის რელევანტური.

არ არის რეგულარულად მიწოდებული საგანმანათლებლო კურსი, განათლების მიღების ან მიწოდების მოტივაცია არის დაბალი, ძირითადად ლეგალური მოთხოვნის არ არსებობის გამო.

პრაქტიკოსების ცოდნა არსებული სარეგულაციო გარემოზე იყო არა ერთგვაროვანი. ზოგი (მათ შორის პროფესიული კავშირების წევრები) არ იყვნენ დარწმუნებულები ან აძლევდნენ არასწორ ინფორმაციას, მაგალითად იმაზე რომ ხდება პრაქტიკოსების რეგულარული სერტიფიცირება. პრაქტიკოსები აღიარებენ პრობლემის არსებობას (მათ შორის ეთიკური პრინციპების დაცვას, მაგრამ არ ქონდათ აქტიური ქმედების მოტივაცია (ძირითადად წარსულში მუშაობის გამო, როდესაც ვერ მოიძიეს კონსტრუქტიული თანამშრომლობის ნება სამთავრობო სტრუქტურებიდან).

მოცემულ პრობლემაზე საუბრობენ ასევე კლასიკური მედიცინის სპეციალისტები. ასევე დგინდება ექიმების და პრაქტიკოსებს შორის ერთმანეთისთვის პაციენტების გადამისამართების პრაქტიკის არსებობა. გამოსავლათ მიაჩნიათ დამოუკიდებელი სამუშაო ჯგუფის შექმნაში, რომელიც იმუშავებდა არასამთავრობო და სამთავრობო სტრუქტურებთან, შესაბამისი საგანმანათლებლო ფორმატების და პროგრამების შემუშავების (სათანადო შეფასების და სერტიფიცირების სისტემით) მიზნით.


დამ-ის პროდუქტების რეგულაციები საქართველოში

საქართველოს კანონი წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ შეიცავს კომპლემენტარული და პარასამედიცინო სამკურნალო საშუალებების და ბიოლოგიურად აქტიური დანამატების რეგულაციებს, რომლების დარეგისტრირება შესაძლებელია ჩვეულებრივ რეჟიმში ნაბაყოფლობითად. კანონი დეტალურად განმარტავს ამ სამკურნალო საშუალებების ჯგუფებს. კანონის მიხედვით, დაუშვებელია ფარმაცევტული პროდუქტის სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით ნებაყოფლობით დაურეგისტრირებელი კომპლემენტარული სამკურნალო საშუალების, ბიოლოგიურად აქტიური დანამატისა და პარასამკურნალო საშუალების სარეკლამო ტექსტში დაავადებების მითითება და მათი ფარმაცევტულ პროდუქტებად წარმოჩენა. ნებაყოფლობითი რეგისტრაციის მთავარი მოტივაცია არის მარკეტინგული ინტერესი და ასევე ნდობის გაზრდა პრეპარატების მიმართ. არსებობს სამთავრობო ბრძანება რომლის მიხედვით რეგულირდება დამ-ის პრეპარატების შეფუთვაზე წარწერების შინაარსი. ასევე რეკლამის შესახებ კანონი კრძალავს კონკრეტული დაავადებების მკურნალობის დამიზნულობის გამოხატვას დამ-ის პრეპარატების შეფუთვაზე.

არ არსებობს მონაცემები იმაზე თუ რამდენი პრეპარატი არის ბაზარზე და არ არის რეგისტრირებული, რაც უსაფრთხოების, შემადგენლობის, ეფექტურობის და სხვა საკითხებს ეჭვის ქვეშ აყენებს. ნაკლები პროცედურული მოთხოვნების მიზეზებია

იმპორტის გამარტივება და პრეპარატების შედარებით უსაფრთხოება. საინტერესოა ის რომ მიუხედავად დამ-თან მიმართებით სახელმწიფოს მხრიდან არაერთგვაროვანი დამოკიდებულებისა, არსებობს მთავრობის მიერ გაცემული რეგულაციები სოფლის მეურნეობისთვის, მათ შორის ვეტერინარიისთვის, სადაც სხვადასხვა პრობლემების მართვაში უპირატესობა ენიჭება დამ-ის პრეპარატებს .

საზოგადოების და დამ-ის მომხმარებელ პაციენტთა გამოკითხვები




გისარგებლიათ თუ არა დამ-ით (მათ შორის ბოლო 12 თვის განმავლობაში)?

დამ-ის გამოყენება ჩვენს მიერ გამოკითხულთა შორის (n=468, RR-68%) იყო შემდეგი: ბოლო 12 თვის მანძილზე - 18%, ცხოვრებაში ერთხელ მაინც - 31%. ასევე გამოკითხულების 35% არ ქონდა ასეთი გამოცდილება მაგრამ არ გამორიცხავდა გამოყენებას მომავალში, და დანარჩენებს არ ქონდათ გამოცდილება და გამორიცხვან ამას. დამ-ის გამოყენება არ იყო სტატისტიკურად სანდოთ დაკავშირებული არც ერთ დამოუკიდებელ ცვლადთან გარდა სქესის (p=0.036) და განათლებისა (p=0.033) (სხვა ცვლადები: ასაკი, დაბადების ადგილი, ექიმებთან ვიზიტების სიხშირე, დაზღვევის სტატუსი და ა.შ.)

დამ-ით მოსარგებლე პაციენტთა საშუალო ასაკი იყო 45 წელი. დაახლოებით ნახევარი თბილისში ან სხვა დიდ ქალაქში იყო



დაბადებული მეორე ნახევარი პატარა ქალაქებში ან სოფლებში. გამოკითხულთა უმეტესობა ქალი იყო (76%), რაც თანხმობამ მოდიოდა დამ-ის მომსახურების ცენტრებში არსებულ პაციენტთა სიებითან და ისტორიებთან. გამოკითხულთა უმრავლესობას ქონდა მიღებული უმაღლესი განათლება (74.04%), 25.48%-ს ქონდა საშუალო განათლება. უმრავლესობა დასაქმებული იყო (47.89%), 26.29% - უმუშევარი, 12.21% - პენსიონერი, 10.80% - სწავლობდა.




უმრავლესობას ქონდა ექიმის მიერ დასმული დიაგნოზი, (80.48%) 15.24%-ს დამ-ის სპეციალისტის მიერ, დანარჩენებს არ ქონდათ დასმული რაიმე დიაგნოზი. ნახევარს ქონდა ქრონიკული მდგომარეობა; 40%-ს ქონდა 1ზე მეტი ჯანმრთელობის პრობლემა. დამ-ისთვის მიმართების ყველაზე ხშირი მიზეზები: გასტროინტესტინალური (მათ შორის ღვიძლის) დაავადებები, ენდოკრინოლოგიური დაავადებები, პსიქიატრიული აშლილობები, გულსისხლძაღვრთა, რევმატოლოგიური, იმუნური სისტემის დაავადებები, ნევროლოგიური მდგომარეობები, მათ შორის ქრონიკული ტკივილი, რეპროდუქციური პრობლემები და სხვა.

პაციენტების სარგებლობის ძირითადი მოტივაცია იყო ქრონიკული დაავადებისგან განკურნება (36%), ჯანრთელობის გაუმჯობესობა (33%), მწვავე დაავადებების მკურნალობა 20%. ნახევარზე მეტი მოელოდებოდა სრულ განკურნებას (55%); 30% ორგანიზმის გაძლიერებას; 23% სიმპტომურ მართვას; 18% სურდა ორგანიზმის

„გასუფთავება“; 15% უნდოდა „გამოჯანმრთელობისთვის ყველაფრის ცდა“ და 12% - ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ერთი თვის შემდგომი გამოკითხვის მიხედვით (n=113) მკურნალობით ეფექტის სუბიექტური შეფასება იყო შემდეგი: 29% - „ძალიან ეფექტური“; 36% - საკმაოდ ეფექტური; 25% - ნაწილობრივ ეფექტური, 5% - არა ეფექტური და 5% - არ ქონდა ზუსტი პასუხი. პირველი გაუმჯობესების ნიშნები იგრძნებოდა რამოდენიმე დღიდან, რამოდენიმე კვირის შემდეგ.



პაციენტები ყველაზე ხშირად დამ-ის სპეციალისტთან მიმართავენ ახლობლის რჩევის მიხედვით (40%), 14%-მა წარმატებული ისტორიის გაგების შემდეგ, და 7% - „არ ქონდა სხვა არჩევანი“. გამოკითხულთა ნაწილი არ ენდობა და ერიდება კლასიკურ მედიცინას. ზოგისთვის დამ პრევენციის მექანიზმია, ან ახლო თავისი ჯანმრთელობაზე და დაავადებაზე შეხედულებებთან.

აბსოლუტური უმრავლესობა (85%) თვლის რომ დროის და ფინანსური რესურსების ხარჯვა უღირს, 5% თვლის რომ არ უღირს, დანარჩენები არ იყვნენ დარწმუნებულები. სუბიექტური

ქმაყოფილებას არ ქონდა სტატისტიკურად სანდო კორელაცია არც ერთ დამოუკიდებელ ცვლადთან, მათ შორის მათ შორის ვინც ექსკლუზიურად დამ-ით მკურნალობს და ვინც სხვა მეთოდებთან ერთად. მომხმარებლები თვლიან რომ სარგებლობა აუმჯობესებს ჯანსაღი ცხოვრებს წესების ასრულებას რადგან დამ-ით ახერხებენ ქრონიკული ტკივილის მართვას და გრძნობენ მეტ ძალას რაც ეხმარება ფიზიკურად აქტიურად ყოფნაში, ასევე ხედავენ კვების ჩვევებში სასარგებლო ცვლილებებს.

რესპონდენტთა ნახევარმა შეწყვიტა კლასიკური მედიცინის ექიმის მიერ დანიშნული მკურნალობის მიღება მას მერე, რაც იგრძნო შევება დამ-ისგან. დანარჩენებმა გააგრძელეს ორივე მიმართულებით ერთდროული მკურნალობა (უმეტესობამ სამედიცინო პრეპარატების მიღებით). რესპონდენტების 35%-მა დამ-ით სარგებლობის შესახებ აცნობეს თავიანთ მკურნალ ექიმებს, დაახლოებით ნახევარმა კი არ აცნობა; დანარჩენ 15%-ს მკურნალი ექიმი არ ჰყოლია. ექიმის არინფორმირების მიზეზებს შორის იყო: „არ ვთვლი საჭიროდ“, „მათი მკურნალობა მაინც არ არის ეფექტური“, „აღარ მივედი ექიმთან“, „არ აინტერესებთ“ და სხვა. ინფორმირებულ ექიმებს შორის რეაქცია იყო როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი. ზოგ შემთხვევაში ექიმებმა პაციენტებს ურჩიეს, მორიდებოდნენ დამ-ით სარგებლობას, მაგრამ იყო მკვეთრად დადებითი დამოკიდებულების მაგალითებიც.

მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა სწორად ასრულებდა ექიმის დანიშნულებას, საყურადღებოა, რომ 35% არ ასრულებდა ექიმის ინსტრუქციებს რეგულარულად, ძირითადად იმიტომ, რომ არ უნდოდა „ქიმიური წამლის“, ჰქონდა გვერდითი ეფექტების შიში ან ვერ ყიდულობდა წამალს ფინანსურ მიზეზთა გამო. ბევრს ჰქონდა თვითმკურნალობის გამოცდილებაც.

დამ-ზე ინფორმაციას უმეტესად ღებულობენ ახლობლებისგან (76.6%), წიგნები, ბეჭდვითი პრესა და მედია ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს ჯამში მომხმარებელთა 43.5%-სთვის. მხოლოდ 11%


იღებს ინფორმაციას ექიმისგან ან სხვა სამედიცინო დარგის წარმომადგენლისგან. ბევრი ურჩევს/ურჩევდა სხვებს გამოყენებას.

პაციენტთა საჭიროებები და დამოკიდებულება დამ-ის მიმართ

თვისობრივი კვლევის მიხედვით აღმოჩენილი ძირითადი თემები და დამ-ით სარგებლობისკენ მამოძრავებელი ფაქტორები:

იმედგაცრუება კლასიკურ მედიცინაში, როგორც ალტერნატივების ძებნი დამ-ში ინტერესის საფუძველი:

- პაციენტებს სჭირდებათ განკურნება და არა სიმპტომური შველა
- პაციენტები ვერ გრძნობენ თავს ჯანმრთელად და უსაფრთხოდ და გამოხატავენ კლასიკური მედიცინით ზოგად უკმაყოფილებას.
- კლასიკური მედიცინით არაეფექტური მკურნალობის გამოცდილება
- კლასიკური მედიცინის ზედმეტი სიძვირე



პაციენტთა მხრიდან დამ-თან დაკავშირებული საჭიროებების და დამოკიდებულებების შექმნის ფაქტორები.

პაციენტთა უმეტესობისთვის მთავარი მიზანი იყო ჯანმრთელობის აღდგენა და ჩივილების მიზეზებთან ბრძოლა. ამისთვის კლასიკური მედიცინა იყო მიჩნეული, როგორც ზედმეტად ზედაპირული, მხოლოდ ჩივილების შემამსუბუქებელი და არა დაავადების მიზეზებთან მებრძოლი. პაციენტების მოსაზრებით, კლასიკური მედიცინა ვერ თანხმდება მათ ჰოლისტიკურ შეხედულებებთან ორგანიზმისა და ჯანმრთელობის შესახებ.

მედიკამენტების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება და გვერდითი ეფექტების შიში: პაციენტებს უნდათ ბუნებრივი, მდგრადი ეფექტის მქონე მიდგომები. გვერდითი ეფექტების შიში ალტერნატივების ძებნის ერთ ერთი ძირითადი მიზეზია. ხშირია გამოთქმა „ქიმიური წამალი“, რაც შეიძლება ნიშნავდეს შეხედულებას, რომ „ბუნებრივ“ პრეპარატებს ჯანმრთელობაზე უფრო მდგრადი ეფექტი აქვს.

დამ-ით, როგორც უსაფრთხო და ეფექტური მკურნალობით კმაყოფილება: აღინიშნება დამ-ით კმაყოფილების მაღალი ხარისხი. ზოგის აზრით, დამ-ით სარგებლობამ შეცვალა მათი ცხოვრება, ზოგი თავს ახასიათებს როგორც „დამ-ში მორწმუნეს“, ზოგისთვის კი დამ ასოცირდება არა ალტერნატივასთან, არამედ ერთადერთ ეფექტურ სამედიცინო სერვისთან.

ექიმების და პაციენტების ურთიერთობა: პაციენტები აფასებენ კარგ (ხშირად მეგობრულ) ურთიერთობას დამ-ის პრაქტიკოსებთან - მათ სჭირდებათ ემპათიური თერაპიული და პრევენციული გარემო. ისინი ითხოვენ თანადგომას ექიმებისგან, ვინაიდან ნდობა და კარგი დამოკიდებულება მკურნალობის უმნიშვნელოვანეს ნაწილად მიაჩნიათ. პაციენტები ამ მხრივ ეჭვის ქვეშ აყენებენ ექიმთა პროფესიონალიზმს.

დამ-ის კლასიკური მედიცინის მომსახურებასთან ინტეგრირება: იმის მიუხედავად, რომ დამ-ის მომხმარებლების შორის შეინიშნება კლასიკურ მედიცინაში იმედგაცრუება, პაციენტთა უმრავლესობა

აღიარებს მის უმნიშვნელოვანეს როლს და თვლის, რომ ეს ორი სისტემა შესაძლოა ურთიერთსასარგებლო იყოს. ამრიგად, ისინი მხარს უჭერენ თანამშრომლობის პერსპექტივას. აღინიშნება ამ პროცესის რეგულირებაში სამთავრობო და სხვა სტრუქტურების ჩართულობის საჭიროება. ექიმების მოსაზრებები დამ-ზე ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულია და პაციენტების მოსაზრებით, ექიმებს დამ-ზე მინიმალური ცოდნა მაინც სჭირდებათ.

დამ-ის მომსახურების და პრეპარატების ანაზღაურება: პაციენტები მხარს უჭერენ დამ-ზე ხარჯების სადაზღვევო ანაზღაურებას. მათი მოსაზრებით, ასე ხდება ევროკავშირის ქვეყნებში. ამავე დროს გამოხატულია სადაზღვევო ფორმატებით კლასიკური მედიცინის ხარჯების დაფარვით მკვეთრი უკმაყოფილება.

სამედიცინო განათლება და დამატებითი / ალტერნატიული მედიცინა

როგორც მოსალოდნელი იყო, მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზის შედეგად დამ-ზე ფოკუსირებული კურსები ვერ მოიძებნა. გარკვეული შინაარსის მიწოდება ხდება მედიცინის ისტორიის კურსში. ასევე გარკვეული სწავლება ხდება რეაბილიტაციის, სხეულის მანიპულაციების და ზოგიერთი სხვა საგნის ფორმატში. სამედიცინო განათლებაში არ იძებნება სტრუქტურული მოდულები. აღსანიშნავია, რომ მრავალი წლის მანძილზე ქვეყანაში ფუნქციონირებდა „კლასიკური და ტრადიციული (ჩინური) მედიცინის ინსტიტუტი“, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სპეციალიზებული სამედიცინო განათლების პროგრამით.

სამედიცინო განათლების ექსპერტთა დამოკიდებულება დამ-ის გარკვეულ მიმართულებათა მიმართ იყო საკმაოდ დადებითი. ამავე დროს, სხვა მიმართულებებს ისინი უარყოფითად ეკიდებოდნენ. არსებული ტენდენციებისა და მაღალი მოთხოვნის გამო,

ექსპერტებს უწევთ თავიანთი სკეპტიკური თვალსაზრისის გადახედვა. ეს ეხებათ ექიმებსაც: ისინი ამბობენ, რომ ხშირად ურჩევენ დამ-ის პრაქტიკოსებთან მისვლას და შიგადაშიგ თვითონაც ნიშნავენ დამ-ის პროდუქტებს. ასევე ხშირად ხდება დამ-ის პრაქტიკოსების მხრიდან პაციენტების ექიმებთან გადამისამართება.

დამ-ის ზოგი წარმომადგენელი გამოხატავს მზაობას, სათანადო მოთხოვნისა და ფორმატის არსებობის შემთხვევაში, მომზადდეს სპეციალიზირებული კურსები. ზოგი მიიჩნევს, რომ ზოგადი თეორიული სწავლება არ იქნება საკმარისი და საჭიროა დამ-ის კონკრეტული მიმართულებების შესწავლა. ამ დროს, დამ-ის ზოგი წარმომადგენლის აზრით, შესაძლებელია საკმაოდ დიდი საჭირო ცოდნის ძალიან მოკლე დროში მიწოდება, დანარჩენი კი ექიმთა თვითგანათლების საკითხია.

მხარეები თანხმდებიან, რომ არსებულ რეალობაში (მაღალი გავრცელება, ღია ბაზარი, ექიმების მიერ დამ-ის პრეპარატების დანიშვნის სიხშირე და სხვა) აუცილებელია გარკვეული კურსების მიწოდება მომავალი და მოქმედი ექიმებისათვის. პირველ ეტაპზე, დამ-ის კომპონენტის ჩართვა შესაძლებელია არჩევით საგნად ან სხვადასხვა საგნის შინაარსში დამატებით. ასევე პროცესს ეხმარება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების ფორმატის არსებობა. დამ-ის კომპონენტის ინტეგრირებას აფერხებს რამდენიმე ფაქტორი: კურიკულუმების გადათვირთულობა, დროის დეფიციტი და ექიმების მიმართ დამ-თან დაკავშირებული კომპეტენციების მოთხოვნის არარსებობა. გაურკვეველია, ვის უნდა ჰქონდეს სწავლების უფლება. სწავლება უნდა იყოს ობიექტური, პრობლემების მოგვარებაზე გამიზნული და არ უნდა შეუქმნას ექიმებს ახალი პრობლემები. ასევე დაფიქსირდა მოსაზრებები სარეზიდენტო პროგრამებში დამ-ის კომპონენტის ჩართვაზე. დამ-ის სამედიცინო განათლებაში (მათ შორის უწყვეტი პროფესიული განვითარების ფორმატებში) ინტეგრირება უნდა მოხდეს

თანდათან, საერთაშორისო ფორმატების გათვალისწინებით თანამშრომლობის პირობებში.

მიუხედავად სკეპტიციზმისა, მედიკოს სტუდენტთა გამოკითხვამ ზოგადად დადებითი დამოკიდებულება და ინტერესი აჩვენა.

### **განხილვა**

კვლევის შედეგები დამ-ის და კლასიკური მედიცინის ინტეგრირების დაწყების სასარგებლოდ ძლიერ არგუმენტად გამოდგება. ის თანხვედრაშია ამ მხრივ საერთაშორისო მდგომარეობის ანალიზის შედეგებთან. ეს არგუმენტი ასევე ეთანხმება მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ტრადიციული მედიცინის სტრატეგიას, რომელიც წევრ ქვეყნებს მოუწოდებს, თავიანთ ჯანდაცვის სისტემებში დამ-ის ინტეგრირებას, რაც დიდწილად შეუსრულებელი რჩება.

დამ-ით სარგებლობის გავრცელების სიხშირე ახლოსაა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში არსებულ რეალობასთან. ასევე, დასავლური ქვეყნების მსგავსად, დამ უფრო პოპულარულია ქალებსა და უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობას შორის. საქართველოში პაციენტებს სჭირდებათ განკურნება და არამხოლოდ სიმპტომური შველა; ამიტომ ისინი იმედგაცრუებულები არიან კლასიკური მედიცინით, ერიდებიან „ქიმიურ“ (ტერმინს იყენებენ არამხოლოდ პაციენტები, არამედ ექიმებიც) წამლებს პოტენციური გვერდითი ეფექტების გამო. ჩანს ინტერესი ინტეგრაციული სერვისის მიმართ, რაც სწრაფი განვითარების სფეროა დასავლურ საზოგადოებებში. ემპათიურ თერაპიულ და პრევენციულ გარემოში საჭიროა ექიმსა და პაციენტს შორის დადებითი დამოკიდებულება. ჩვენი და სხვა კვლევების თანახმად, ჯანმრთელობისა და დაავადების კონცეფცია პაციენტებისთვის ნელ-ნელა იცვლება. ასევე იცვლება ჰოლისტიკურ მიდგომებზე და განკურნებაზე მოთხოვნა, რაც გვამლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ მომავალში დამ-ით სარგებლობა მოიმატებს.



მოქალაქეების უმრავლესობა არ ფლობს სანდო ინფორმაციას და შესაბამისად არ არის დაცული დამ-ის შესაძლო ზიანისგან. მათ ასევე არ აქვთ დამ-ის მომსახურებასთან სათანადო წვდომა. კლასიკური მედიცინის ექიმებს შორის ცოდნის ნაკლებობა და მათი ხშირად ღიად უარყოფითი დამოკიდებულება იწვევს დამ-ით სარგებლობის შესახებ ინფორმაციის არგაზიარებას, აფერხებს პაციენტთა პარალელური მკურნალობების შესახებ მედიკოსების ინფორმირებულობას და ექიმების მიერ პაციენტთათვის დამ-ზე (თუნდაც უარყოფითი) ინფორმაციის გაზიარებას. ჩანს ექიმებს შორის დამ-ის შესახებ განათლების გაუმჯობესების (მითუმეტეს მაშინ, როდესაც თვითონ ექიმები ნიშნავენ დამ-ის მკურნალობას ან აგზავნიან პაციენტს დამ-ის სპეციალისტთან) მოთხოვნილება. ასევე იგრძნობა, რომ საჭიროა პაციენტების მოტივირება, უფრო აქტიურად მოითხოვონ ინფორმაცია დამ-ის შესახებ. სანდო ინფორმაციის დეფიციტი და საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების შეუძლებლობა არღვევს პაციენტის ზოგად უფლებებს, ეწინააღმდეგება ეთიკის პრინციპებს და ხელს უშლის ჯანდაცვის პოლიტიკის მიზნების შესრულებას.

არსებობს ანგარიშები, რომელთა თანახმად საქართველოში მცხოვრებთა ნახევარი მხოლოდ ნაწილობრივ ან საერთოდ არ ენდობა ექიმებს. ექიმსა და პაციენტს შორის ზედაპირული კომუნიკაცია პაციენტების მიერ სამედიცინო სერვისებისგან თავის არიდების მნიშვნელოვანი ფაქტორია. კვლევები პაციენტების მიერ სამედიცინო სერვისების არმგამოყენებაზე, განსაკუთრებით თვისობრივი, იშვიათია. ასევე კვლევის საგანია პაციენტებს შორის ექიმთან თანამშრომლობის სურვილის არარსებობა.

პაციენტების მიერ დამ-გამოცდილების მიმართ დადებითი შეფასება შესაძლებელია, საგულისხმო იყოს სხვა ჯანდაცვის სფეროების სპეციალისტებისთვის, ძირითადი აქცენტით დამ-ის მომხმარებლებსა და მიმწოდებლებს შორის ურთიერთობის ჰარმონიულობაზე. არსებობს საჭიროება, სამედიცინო განათლება

ფოკუსირდეს პაციენტთან კომუნიკაციისა და ურთიერთობის კომპეტენციებზე. შესაძლებელია, სამედიცინო განათლებაში პროორიტიკების გადახედვამ და უწყვეტი სამედიცინო განათლების ან პროფესიული განვითარების სავალდებულო მოთხოვნამ დადებითი გავლენა იქონიოს პაციენტთა მხრიდან ექიმის დანიშნულების შესრულებაზე, ნდობასა და კმაყოფილებაზე. საჭიროა ამ პროცესის შესწავლა და შესაბამისი ქმედებები, რამაც შეიძლება გაზარდოს სამედიცინო მომსახურების რეპუტაცია და პირველადი რგოლის ექიმთან მისვლის ტენდენცია, რაც გააუმჯობესებს პრევენციისა და მკურნალობის ხარისხს / გამოსავლებს.

ექიმებს შორის (მათ შორის საქართველოში) არ არის შეთანხმება დამ-ის სარგებლის ან რისკის შესახებ. ჩვენ ვეთანხმებით სხვა კვლევების დასკვნებს იმაზე, რომ არ იქნებოდა სწორი ექიმების მხრიდან მოველოდეთ დამ-ის სიღრმისეულ ცოდნას. ამავე დროს მათ უნდა ჰქონდეთ ამ თემის შესახებ ზოგადი ცოდნა მაინც და უნდა შეეძლოთ ამ საკითხზე პაციენტთან კომუნიკაცია. უცხოური წყაროების მიხედვით, ექიმები გამოხატავენ ნებას, გააუმჯობესონ საკუთარი ცოდნა ამ მიმართულებით და თვლიან, რომ ეს დაეხმარება მათ პრაქტიკას. ამჟამად ეს ნება უპასუხოდ რჩება. ასევე შესაძლოა, ექიმების ინფორმირებულობამ დამ-ის გარკვეული ასპექტების შესახებ მოიტანოს სხვა სარგებელიც, რადგან კვლევები აჩვენებს, რომ ინტეგრაციულ მედიცინაში განათლებულ ექიმებს (ან იმ ექიმებს, ვინც თანამშრომლობს დამ-ის მიმწოდებლებთან) შორის პაციენტის მართვა უფრო ეფექტურია, განსაკუთრებით ქრონიკული მდგომარეობებისას. სამედიცინო განათლების ექსპერტები და ასევე მედიკოსი სტუდენტები მიესალმებიან დამ-ის კომპონენტის პროგრამებში ინტეგრაციას. სამედიცინო პროგრამების კურიკულუმები, როგორც წესი, გადათვირთულია და არ ტოვებს (ან ტოვებს შეზღუდულად) დროს სადაც შესაძლებელი იქნებოდა დამ-ის კომპონენტის ჩანერგვა. იმ შეთხვევაში, თუ საკვალიფიკაციო მოთხოვნები მომავალი ექიმების მიმართ არ შეიცვალა, არ იქნება კურიკულუმების ცვლილებაზე საკმარისი მზაობა. ერთ-ერთ

ფორმატად, რომლის მეშვეობით შესაძლებელია შესაბამისი ცოდნის მიწოდება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების ფორმატი განიხილება.

საქართველოში დამ-ის პრაქტიკული მხარე ფაქტობრივად არ რეგულირდება. ამჟამად ნაკლებაქტიურ პროფესიულ ორგანიზაციებს შეუძლიათ პოტენციურად ითამაშონ უფრო მნიშვნელოვანი როლი ისე, როგორც ხდება რამოდენიმე ევროპულ ქვეყანაში. ამისთვის საჭირო იქნებოდა თანამშრომლობა, უკეთესი მართვა და ლიდერობის გამჭვირვალობა, ასევე დროის და მატერიალური რესურსების ინვესტირების ნება და ა.შ. პროფესიული ორგანიზაციების სისუსტე შეიძლება ახსნილი იყოს წლების მანძილზე პრობლემის იგნორირებითა და მათთვის თავის არიდებით. სტრუქტურები არ არიან მხარდაჭერილები წევრთა ძლიერი აკადემიური წარსულით. სხვადასხვა მხარეები არ აღიარებენ საგანმანათლებლო და სასერტიფიკაციო პროცესის დაწყებისთვის ერთმანეთის ძალაულებას. არც ერთი იდენტიფიცირებული დამ-ის პროფესიული კავშირი არ არის ასახული ჯანდაცვის სამინისტროს პორტალზე არსებულ სამედიცინო ასოციაციების რეესტრში. მეორის მხრივ, სახელმწიფო სტრუქტურებში არ არსებობს მოცემულ პრობლემაზე სამუშაოდ საჭირო მზაობა. პრაქტიკოსები არ არიან სათანადოდ ინფორმირებულები შესაბამისი მარეგულირებელი გარემოს შესახებ. ასევე შეუთანხმებლობაა სახელმწიფო სტრუქტურებშიც - არარეგულირებადი სპეციალობის პერსონალი შესაძლოა მუშაობდეს საავადმყოფოებში, სამინისტრო ითხოვს ამ სპეციალისტების ანგარიშში ასახვას, მაშინ როდესაც ქვეყანაში ოფიციალურად ამ სპეციალობების განმარტებაც კი არ არსებობს. საერთაშორისო კვლევა გვიჩვენებს, რომ გამოსავალთან ყველაზე ახლოს არის ე.წ. თვითრეგულირების მიდგომა.

ფინანსური საკითხები: კვლევის მონაწილეთათვის მნიშვნელოვანია დამ-თან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების საკითხი. ბევრი თვლის, რომ გარკვეულ ევროპულ ქვეყნებში დამ-ის სერვისები და

წამლები იფარება სახელმწიფო დაზღვევის მიერ, მაგრამ ეს ასე არ არის. დამ-ის (კონკრეტული მიმართულებების) დაფინანსების სქემები განსხვავდება ქვეყნებსა და რეგიონებს შორის. ეს სქემები დროდადრო იცვლება ამ რეგიონებში და ამას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა პაციენტთა მკურნალობის არჩევანზე. ჯანდაცვის დაფინანსების კვლევა გვიჩვენებს, რომ კლასიკური მედიცინის სერვისების მიწოდების და მედიკამენტების ხელმისაწვდომობის მხრივ ამჟამად არის მთელი რიგი პრობლემებისა და იმის ალბათობა, რომ დამ-ს ამ მიმართულებით საკმარისი ყურადღება მიექცევა, არის ძალიან დაბალი.

სამედიცინო პროდუქტები: დამ-ის სამკურნალო პროდუქტების წარმოების და რეგულირების მხრივ საქართველოს სარეგულაციო გარემო მსგავსია აშშ-ის ან ზოგი ევროპულ ქვეყნის სიტუაციასთან. უნდა ითქვას, რომ ევროკავშირს აქვს გარკვეული პოლიტიკა და სარეგისტრაციო წესები, რომელთა ადგილობრივად დანერვა არ იქნებოდა რთული. დამ-ის და განსაკუთრებით ქართული ტრადიციული მედიცინის მიმართულებით (უსაფრთხოების, ხარისხის, ეფექტურობის და სხვა კუთხით) განხორციელებულმა შემდგომმა კვლევამ შესაძლოა საქართველოში მოღვაწე მწარმოებლებს მისცეს პრეპარატის დარეგისტრირების, ზოგ შემთხვევაში შემადგენლობაზე პატენტის მიღების და პოტენციურად პროდუქციის ექსპორტზე გატანის საშუალება. ეს ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკას (როგორც აღწერილი უცხოურ ლიტერატურაში).

შეჯამება: ის, რასაც ვხედავთ, მსგავსია ევროპის ქვეყნებში არსებულ სიტუაციასთან, სადაც დამ-ის თერაპიების და „აგენტების“ ბაზარზე გასვლამდე რეგულირებისა და დაფინანსების მხრივ ერთიანი „ფილტრირება“ არ არსებობს. ეს იმას ნიშნავს, რომ მკურნალობის მეთოდი შეიძლება იყოს ფართოდ გავრცელებული, მაგრამ მკვლევარებმა, პედაგოგებმა და პოლიტიკის განმსაზღვრელებმა არც იცოდნენ ამის შესახებ. დასავლური ქვეყნების შემთხვევაში შემოთავაზებული იყო ხუთსაფეხურიანი კვლევის სტრატეგია:

1. შინაარსის, ცნების და ფილოსოფიური კონტექსტის ანალიზი და უტილიზაცია,
2. უსაფრთხოების სტატუსი,
3. შედარებითი ეფექტურობა,
4. კომპონენტების ეფექტიანობა,
5. ბიოლოგიური მექანიზმები.

ჩვენი კვლევა პასუხობს აქედან პირველ საფეხურს და შესაბამისად ეძებს პასუხს კითხვებზე „რა ხდება?“ და „რატომ ხდება?“. ეს კვლევა აგრეთვე პასუხობს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის და ევროკავშირის მიერ დამ-სთან დაკავშირებული კვლევის სტიმულირების კონტექსტში საერთაშორისო საზოგადოების მიმართ გამოთქმულ მოწოდებებს.

### კვლევის შეზღუდვები

ჩვენს რაოდენობრივ კვლევას აქვს გარკვეული შეზღუდვები, პირველ რიგში selection bias-ის, recall bias-ისა და ინფორმაციის არასრული გამჟღავნების რისკების მხრივ. გარკვეული საბუთების ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში შესაძლო არარსებობა ჰქმნის საბუთების კვლევის პოტენციურ შეზღუდვას.

### დასკვნები

- დამ-ის პრაქტიკა აღიქმება საქართველოს ჯანდაცვისთვის პოტენციურ ახალ შესაძლებლობად, მაგრამ დიალოგის, მაკოორდინირებელი ორგანოს და რესურსების დეფიციტი აფერხებს ამ პროცესის მიმდინარეობას. კლასიკური მედიცინისა და დამ-ის სპეციალისტებს შორის კომუნიკაცია და თანამშრომლობა არაეფექტურია.
- საქართველოში არ არსებობს დამ-ის პრაქტიკის მოქმედი, პირდაპირი რეგულაციები და ქვეყანა ზოგადად არ ასრულებს მსოფლიო ჯანდაცვის ასამბლეის WHA67.18 და WHA9.24 რეზოლუციებს. ასევე იგნორირდება მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ ამ მხრივ გამოთქმული სტრატეგიული დირექტივები და რეკომენდაციები. ნებაყოფლობითობის

საფუძველზე მოქმედებს დამ-ის პროდუქტების წარმოების და მარკეტინგული რეგულაციები.

- გამოკითხულ რესპონდენტთა შორის დამ-ით სარგებლობის გავრცელების სიხშირე მაღალი იყო (>30%), რაც გვამლევს საფუძველს ვივარაუდოთ რომ ის ასევე მაღალი იქნება ზოგად მოსახლეობაში. დამ-ით სარგებლობენ პირველ რიგში საშუალო ასაკის, უმაღლესი განათლების მქონე, დასაქმებული პირები. მოხმარება ბევრად უფრო ხშირია ქალთა, ვიდრე მამაკაცთა შორის. მოხმარებლები კმაყოფილები არიან მიღებული მომსახურებით / შედეგებით. ინფორმაციის გავრცელება ხდება ძირითადად ვერბალურად, მოხმარებლებს შორის. ამ დროს, კვლევაზე დაფუძნებული ინფორმაციის მიმართ წვდომა რჩება დაბალი და ექიმებიც ხშირად ვერ ეხმარებიან პაციენტებს დამ-თან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

- საქართველოს მოსახლეობა აფასებს პრაქტიკოსთა და პაციენტთა შორის არსებული ურთიერთობების დადებით ხასიათს, რაც კონტრასტში მოდის ზოგად იმედგაცრუებასა და დაბალ ნდობასთან კლასიკური მედიცინის მკურნალობის მიმართ.

- ჯანდაცვის სპეციალისტებს არ აქვთ დამ-ის საკითხების შესახებ საკმარისი კვლევაზე დაფუძნებული ცოდნა და გააზრება. განიხილება დამ-ის საგანმანათლებლო კომპონენტის დიპლომამდელ და დიპლომისშემდგომ კურიკულუმებში ჩართვა, რაც შეიძლება დამ-ის და კლასიკური მედიცინის ინტეგრაციის პირველ ნაბიჯად დავინახოთ.

- მაშინ, როდესაც პაციენტთა მიერ მიღებული სამედიცინო გადაწყვეტილებების ინფორმირებულობის სიხშირე საგრძნობლად დაბალია და აფერხებს დამ-ის უსაფრთხოების ან ეფექტურობის შესახებ დასკვნების გამოტანას, ჩნდება გადაუდებელი საჭიროება, დაწყებულ იქნას დისციპლინათშორისი კვლევები, სარეგულაციო განხილვა და საგანმანათლებლო სამუშაოები.

- ბიოსამედიცინო ეთიკის ისეთი ძირითადი პრინციპები, როგორცაა ავტონომია, გულმოდგინება ან სამართლიანობა, ექვევად დამ-ის რეგულირების, დაფინანსების და მიწოდების ფორმატების, ასევე პაციენტებისთვის ინფორმაციის გავრცელების მექანიზმების ზეგავლენის ქვეშ.

### **რეკომენდაციები**

- საჭიროა სამუშაო პროცესის დაწყება მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ წევრი ქვეყნების მიმართ გამოთქმული მოწოდებების, სტრატეგიული მიზნების და რეკომენდაციების, ასევე მსოფლიო ჯანდაცვის ასამბლეის რეზოლუციების მიხედვით.
- რეკომენდებულია შესაბამის სამთავრობო და არამსამთავრობო სტრუქტურების, ასევე აკადემიური დაწესებულებების, სამედიცინო ფაკულტეტების და პროფესიული ორგანიზაციების რესურსების ანალიზი და განვითარების ხელშეწყობა, ამ სტრუქტურების ეფექტური და ოპტიმალური რეგულატორული ჩარჩოს განვითარების პროცესში აქტიური ჩართულობისთვის.
- პირველ ეტაპზე რეკომენდებულია დამ-ის კურსის შექმნა და მიწოდება მედიკოსი სტუდენტებისთვის არჩევითი კურსის, ხოლო მოქმედ ექიმთათვის უწყვეტი პროფესიული განვითარების / უწყვეტი სამედიცინო განათლების ფორმატში. ასევე, რეკომენდებულია ამ კურსების ფოკუსირება ექიმსა და პაციენტს შორის ურთიერთობასა და კომუნიკაციაზე.
- რეკომენდებულია აკადემიური საზოგადოების, ექიმების, პრაქტიკოსებისა და სხვა დაინტერესებული პირების ჩართვით სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც იმუშავებს პრაქტიკების იდენტიფიცირებასა და განმარტებაზე, კლასიფიკაციის შექმნაზე, პრაქტიკოსთა / მომსახურების მიმწოდებელთა მონაცემთა ბაზის შექმნაზე; ასევე შეიმუშავებს რეგულაციის და საქართველოში პრაქტიკის აკრედიტირების ჩარჩოს პროექტს.

• რეკომენდებულია თანამშრომლობა დისციპლინათმორის და საერთაშორისო ფორმატებში ნორმატიული საბუთების (როგორც მინიმუმ უსაფრთხოებაზე და ხარისხზე მომართული წესების) და დამ-თან დაკავშირებული პოლიტიკის / სტრატეგიის ეფექტური შემუშავებისთვის. ასევე კარგი იქნება, თუ აკადემიური საგანმანათლებლო დაწესებულებები ჩაერთვებიან დამ-ს არამედიკოსი პრაქტიკოსებისთვის პირველადი საგანმანათლებლო და სასერტიფიკაციო ჩარჩოების შემოღებაში.

#### **პუბლიკაციები:**

- Nadareishvili I, Lunze K, Tabagari N, Beraia A, Pkhakadze G, Complementary and Alternative Medicine Use in Georgia, Georgian Med News. 2017 Nov; (272):157-164.
- Nadareishvili I, Lunze K, Pkhakadze G, Japiashvili N, Tabagari N., Complementary and Alternative Medicine and Medical Education in Georgia: State of the Art and Further Perspectives, Georgian Med News. 2017 Dec; (273):118-122.
- ი. ნადარეიშვილი კომპლემენტარული და ალტერნატიული მედიცინა და მის რეგულირებაში არსებული საერთაშორისო გამოცდილება, Tvildiani Medical University Press, 2017
- Complementary and Alternative Medicine Practice and Healthcare Integration in Georgia, 15th International Medical Postgraduate Conference, abstract published, Charles University, Faculty of Medicine in Hradec Králové, Czech Republic – 2018
- Ilia Nadareishvili, Ani Beraia, Nino Mchedlishvili, Complementary and Alternative Medicine Consumers: Practice and Attitudes in Georgia, 28th European Students' Conference, Charite Universitat Medizin Berlin, Abstract published, Germany – 2017
- Nadareishvili Ilia, Tabagari Nino, MD Curriculum New Topics: Evidence Formation for Definition and Implementation HENTI 2017 – The Second International Conference: Higher Education, New Technologies and Innovations, Abstract Published, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia – 2017



**David Tvildiani Medical University**

**Report on the PhD Thesis**

**COMPLEMENTARY AND ALTERNATIVE MEDICINE AND THE  
HEALTHCARE SYSTEM OF GEORGIA**

**Dr. Ilia Nadareishvili MD,**

**PhD Candidate**

**David Tvildiani University Press**

**Tbilisi 2018**

The work was performed at the David Tvildiani Medical University

**Scientific supervisors:**

- **Dr. Giorgi Pkhakadze**, MD, PhD  
Professor, Head of School of Public Health,  
David Tvildiani Medical University, Tbilisi, Georgia
- **Dr. Karsten Lunze**, MD, DrPH  
Assistant professor, Department of Medicine  
Boston University, Boston, the United States

**Official Experts/Opponents –**

- **Dr. Tengiz Verulava**, MD, PhD  
Professor, Ilia State University
- **Dr. Ramaz Shengelia**, MD, PhD, Sc.D  
Professor, Tbilisi State Medical University
- **Dr. George Chakhava**, MD, PhD  
Associate Professor, David Tvildiani Medical University

The defense is performed on March 7, 2019 at \_\_\_\_\_ PM at the David Tvildiani Medical University, 2/6 Ljubljana Str. Tbilisi, Georgia 0159

The PhD thesis manuscript can be obtained from the David Tvildiani Medical University Library.

The report will be distributed on February \_\_\_\_, 2019.

Scientific secretary of the Dissertation Council

Marika Vachnadze, MD, PhD

## **Background**

The increasing globalization, climate and environmental changes, human and material resource deficits, poverty, migration, prevalence of non-communicable disease and challenges such as antibiotic resistance are some of the health issues expected to become even more relevant in the future. This increase in the global burden on in fact all the healthcare directions challenges the scientific, human and material resource capacities of healthcare systems, and prompts scientific quest for problem solutions.

At the same time a tendency of increase of Complementary Alternative Medicine use has been observed over the last 20 years, forming a problem of epidemiological, economical and politically importance for public health. CAM has been mainly used to maintain and improve health, as well as to prevent, diagnose, relieve or treat illnesses outside the conventional healthcare, but in some countries certain treatments are being adapted by conventional healthcare. More than 100 million EU citizens are 'regular' users of CAM (predominantly for the treatment of chronic conditions), while prevalence of use in USA is reported to be at 33%. At this time international scientific community conducts studies on reasons of CAM use, regulations, financing, ethics, sources of information for public. Besides this, at this time, more and more studies are published scrutinizing efficacy and safety of various CAM modalities from Evidence-Based Medicine point of view. Many of these studies compare CAM to placebo, while others also compare to established "conventional" treatment methods. Behavioral benefits of CAM is also a research subject. Some countries, such as for example the United States, have big, governmental bodies dedicated to CAM research and related activity management. Such countries as China and India can demonstrate examples of successful medical system integration (particularly in service delivery in China workforce in India).

